



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 370

16/02/2018

ქალაქი ბათუმი

370-05-4-201802161546



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. №NBA-424 -ის ჯართის სახით პრივატიზებაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №02 განკარგულების, „მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №03 განკარგულებისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 8 თებერვლის №434-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. №NBA-424 -ის ჯართის სახით პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. №NBA-424 -ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 380 (სამასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ განისაზღვროს 114 (ასოთხმეტი) ლარის ოდენობით.

4. „ბიჯი“ განისაზღვროს 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

5. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. №NBA-424 -ის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

